პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 17 მარტი, 1943 წ. № 63 (6688). ფასი 20 კაპ.

## კომკავშირის საბრძოლო ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის

ხანგრძლივ სამამულო ომის გადამწყვეტი მომენტი. დაიწყო მტრის მასობრივი განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან. საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით წითელი არმია გმირულად იბრძვის გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ. ამ უმაგალითო ბრძოლაში კომკავშირი უდიდეს როლს ასრულებს ფრონტზე და ზურგში.

ფაბრიკებში, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში გაჩაღებულია ფრონტული მუშაობა წითელი არმიის დასახმარებლად. მოვიდა გაზაფხული და სოფლად დღითი დღე ძლიერდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპები. უხვი სამხედრო მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება. რა როლი აკისრია კომკავშირს საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად ჩატარებაში?

კომკავშირელთა სამუშაო დიდი და პასუხსაგებია. სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობის გამგეობას, მის თავმჯდომარეს მთელი საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ მოწყობასა და ჩატარებაში. ამ მიზნით ყველა კომკავშირელი აქტიურად უნდა ჩაებას მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში. საჭიროა ახალგაზრდობის მჩქეფარე ენერგიისა და ენტუზიაზმის ორგანიზება ისე, რომ ნაკლები ძალებით მეტ შედეგს მივაღწიოთ. ეს კი მოითხოვს უნარიან ორგანიზატორულ მუშაობას, რაც უზრუნველჰყოფს სოფლის მთელი ახალგაზრდობის, ყველა კოლმეურნის დარაზმვას თესვის აგრონომიული წესებით დადგენილ ვადებში დამთავრებისათვის. კომკავშირმა უნდა იბრძოლოს სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევათა გამოყენებისა და ფართოდ დანერგვისათვის.

რაც შეიძლება მეტი რომ დავთესოთ და რაც შეიძლება უხვი მოსავალი რომ მივიღოთ, საჭიროა მაქსიმალურად ჩავებათ ახალგაზრდა ქალები მინდვრის სამუშაოებში, დავეხმაროთ მათ და ხელი შევუწყოთ შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლებაში.

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია არ არის, განსაკუთრებით დიდია კომკავშირის, როგორც ორგანიზატორის როლი.

მაგრამ ყოველივე ეს როგორ უნდა განახორციელონ სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა? „კომკავშირელებმა კოლმეურნეობებში ადმინისტრატორობა კი არ უნდა გასწიონ, არამედ საზოგადოებრივი შემოქმედება უნდა განახორციელონ“,—ამბობს ამხ. მ. ი. კალინინი. საჭიროა გავითვალისწინოთ გასული წლის მუშაობის პრაქტიკა, კარგი და დადებითი გამოცდილება გავავრცელოთ ყველა კომკავშირულ ბრიგადაში, რგოლში, ხოლო ნაკლოვანებები აღმოვფხვრათ.

სერიოზული მუშაობა და პასუხისმგებლობა ეკისრებათ კომკავშირელ, ახალგაზრდა აგრონომებს.

გორის, გურჯაანის, ხულოს და თელმა რიგმა სხვა რაიონულმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გასულ წელს მრავალმხრივი ინიციატივა გამოიჩინეს. გურჯაანში შეჰქმნეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შემკეთებელი ბრიგადები, რომლებშიც 315 კომკავშირელი იღებდა მონაწილეობას. რაიონის კომკავშირულმა დაკავშირგარეშე ახალგაზრდობამ რემონტისათვის 2.200-ზე მეტი სათადარიგო ნაწილი შეაგროვა. ხვნის ფეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი რესპუბლიკის 14 ტრაქტორისტი ქალიშვილი დააჯილდოვა. 500-600 შრომადღე გამომუშავეს 15 წლის კოლმეურნე გოგონა ძაბული ივანბამ, გულიე შატამ, ზინაიდა ბებიამ და ა. შ. პიონერ - მოსწავლეებმა კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შრომითი მამაცობის ნიმუშები გვიჩვენეს.

მაგრამ იყო ნაკლოვანებებიც. საქ. ალკკ წითელწყაროსა და კასპის რაიკომებმა ვერ უზრუნველჰყვეს კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისადმი და იქ ზოგან კომკავშირული მუშაობა ჩაშლილი აღმოჩნდა. კომკავშირის კასპის რაიკომის ყოფ. მდივნის გახელაძის მოუქნელი მუშაობის შედეგად რაიკომის ბიუროს სხდომებზე გამოძახებული ამხანაგებიც კი ხშირად არ ცხადდებოდნენ. ასეთ პირობებში რაიკომის ხელმძღვანელობა ოპერატიული როგორღა იქნებოდა?

მაღე მასობრივად დაიწყება საგაზაფხულო თესვა. თესვისათვის ბოლშევიკური მზადყოფნა თესვის წარმატების საფუძველია. ტრაქტორების, სასოფლო - სამეურნეო მანქანების, ცოცხალი გამწევი ძალის სრული და უნარიანი გამოყენება, მაღალნარისხოვანი თესლი, შრომის სწორი ორგანიზაცია, სათესი ფართობების გადიდება, მეორე ჯგუფთა საფარქვეშ რამდენჯერმე მიიტანეს კონტრიერიში ჩვენს პოზიციებზე სხვადასხვა მიმართულებიდან. მტრის ყველა კონტრიერიში მოგერიებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

დღეს განთიადისას გურიაშინის ნაწილის მებრძოლები ხოლმ-ყირკოვსკში შეიჭრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებიდან. ამავე დროს მეთაურ შუღას მებრძოლები შეიჭრნენ ქალაქში სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. ჩვენი მებრძოლების დარტყმების გამო გერმანელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ ხოლმ-ყირკოვსკიდან, ამასთან მის მიხადგომებზე და თვით ქალაქში თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდძალი გვამები დასტოვეს. ჩვენი ჯარების მიერ დამარცხებულმა ფაშისტთა ნაწილებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. საბჭოთა მებრძოლები კვალდაკვალ ბისდევენ მათ და ახალ-ახალ დარტყმებს აყენებენ ჰიტლერელთა დაქსაქსულ ქვეგანაყოფებს.

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ნაწილები აგრეთვე წარმატებით მიიწევენ წინ.

**ე. ქაპლანსკი**

## ROGORI AVIQETH XOLM-QIRKOVSKI

**DASAVLETHIS FRONTI**, 15 martsi (saqdesis sp. korespondentisagan). saBWoTa jaRarebma, daniarebulma rasac Setevsa, am uyanaskneli dRe-RamisaTvis mTel frontze gaiaRes, mTel frontze daiwyes mZlavri Sexvedra, romelsac mTel frontze aRaerTianeba

## სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი



მაიორი კ. ჩხარტიშვილი

წითელარმიელი ნ. ჩხარტიშვილი

# მამა და შვილი— კონსტანტინე და ნოდარ ჩხარტიშვილები

მამა და შვილი კონსტანტინე ივანეს-ძე და ნოდარ კონსტანტინეს-ძე ჩხარტიშვილები საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის სახელოვანი მონაწილენი არიან.

მამა კონსტანტინე ჩხარტიშვილი დაიბადა 1903 წელს მახარაძის რაიონის სოფ. ზვანში ღარიბი გლეხის ოჯახში. ოზურგეთში ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ, სიღარიბის გამო თავი დაანება სწავლას და მუშაობდა სოფლად. 1926 წელს იგი შედის კომკავშირის რიგებში, 1928 წელს კი ამთავრებს სამხედრო სასწავლებელს. ამ წლიდან დაწყებული ამხ. კ. ჩხარტიშვილი მუშაობს სამხედრო კომისარიატებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ზესტაფონში, ქუთაისში, ახალციხეში. 1930 წელს ამხ. კ. ჩხარტიშვილი საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შედის.

შვილი ნოდარ ჩხარტიშვილი დაიბადა 1927 წელს ქალაქ მახარაძეში. არასრული საშუალო სკოლა დაამთავრა კასპში.

საბჭოთა ხალხს დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, მამა კ. ჩხარტიშვილი კასპის რაიონის სამხედრო კომისარი იყო, შვილი ნოდარი—მე-8 კლასის მოსწავლე. საბჭოთა პატრიოტმა მაიორმა კ. ჩხარტიშვილმა მოითხოვა ფრონტზე გაგზავნა, რომ პირისპირ შეხვედროდა გერმანელ დამპყრობლებს. ამხ. კ. ჩხარტიშვილის თხოვნა მხოლოდ 1942 წლის თებერვალში იქნა დაკმაყოფილებული. ამ ხანებში მის საბრძოლო დახასიათებაში აკეთხულობთ: „ამხ. ჩხარტიშვილი არის ლენინ-სტალინის პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილი, დისციპლინირებული, დავალებათა ზუსტი შემსრულებელი, ნებისყოფიანი და ენერგიული მეთაური, საკმაოდ მომზადებული, ლაშქრობაში ამტანი“.

შვილი ნოდარი ამ დროს აქტიური კომკავშირელი და მე-9 კლასის მოსწავლე იყო, სკოლის რაზნში გულმოდგინედ ეუფლებოდა სამხედრო საქმეს და მალე დაწინაურებულ იქნა საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სწავლების უმცროს ინსტრუქტორად. მოქმედ არმიაში მამის წასვლის შემდეგ ახალგაზრდა ბგზნებარე პატრიოტს ნოდარს უკვე აღარ ეუდგებოდა გული სახლში და 1942 წლის მაისში 16 წლის ახალგაზრდა მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. იგი მოხვედა მამის ნაწილში და ამ დროიდან მის მხარდამხარ ებრძოდა არამზადა ჰიტლერელებს. ამ ხანებში მამა პოლკს მეთაურობდა და წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე დაუნდობლად ანადგურებდა გერმანელ ოკუპანტებს.

ამ პერიოდის შესახებ პოლკის კომისარი, ორდენოსანი ომარ მუსერიძე შემდეგს გვწერს რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილში: „ამ დღეებში ჩვენთან მოვლინებულ იქნა კასპის რაიონის ყოფილი სამხედრო კომისარი მაიორი ჩხარტიშვილი და დაინიშნა პოლკის უფროსად. ჩვენს ნაწილში ამხ. ჩხარტიშვილის მოსვლა დაემთხვა გერმანელ ოკუპანტებთან გააფთრებულ, სასტიკ ბრძოლებს. ამხ. ჩხარტიშვილი პირველი დღიდანვე ჩაება ბრძოლებში და იბრძოდა ჰიტლერელების წინააღმდეგ სამშობლოს ნამდვილი პატრიოტის მთელი აღგზნებით, მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში მტრის ტყვიამ განგმირა იგი.

ამხ. ჩხარტიშვილთან იყო მისი 16 წლის ვაჟი ნოდარ ჩხარტიშვილი, რომელიც მამასთან ერთად იბრძოდა იარაღით ხელში და მამის დაღუპვის შემდეგ არ უნდოდა ნაწილიდან წასვლა“.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანამუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და ნამაცობის გამოჩენისათვის მაიორი კონსტანტინე ჩხარტიშვილი სიკვდილის შემდეგ სარდლობის მიერ წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე, მისი შვილი ნოდარ ჩხარტიშვილი კი დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

ერთ-ერთ ბრძოლაში ნოდარ ჩხარტიშვილი დაიჭრა. ამჟამად იგი ნკურნალობს და თან განაგრძობს სწავლას კასპის საშუალო სასწავლებელში. მან გვიამბო ზოგიერთი épizodi იმ ბრძოლებიდან, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო მამასთან ერთად.

ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის აღების დროს მაიორმა ჩხარტიშვილმა თავისი მებრძოლებით მიაშურა იმ სახლს, რომელშიც გერმანელები იყვნენ გამაგრებულნი. შტაბაკების გადამწყვეტი მომენტი იყო. გაცხარებულ ბრძოლაში ნოდარმა შეამჩნია, რომ მამას საფრთხე მოელოდა. სწრაფად გადაუღობა გზა ჰიტლერელს, მოსპო იგი და გადარჩინა მამა.

მეორე ბრძოლაში მაიორ ჩხარტიშვილის ქვეგანაყოფმა ფლანგიდან შემოუარა მტერს, 25 ტანკი დაეზიანა, გაქცეულ ჰიტლერელებს გზა გადაუჭრა და იერიშზე გადასული ჩვენი ნაწილების გამარჯვება უზრუნველჰყო.

1943 წლის 12 თებერვალს მაიორმა კ. ჩხარტიშვილმა მიიღო დავალება აიღო გამაგრებული ზღუდე. ნაიორი თვითონ ჩაუდგა სათავეში თავის მებრძოლებს და იერიშზე წაიყვანა ისინი. ამ ბრძოლაში პირადად მაიორმა სამი გერმანელი ნეიტომატე მოჰკლა, შეიჭრა გერმანელების ნიერ დაკავებულ სახლში, მაგრამ აქ იგი განგმირა მტრის ტყვიამ. მისმა მებრძოლებმა შური იძიეს მეთაურის დაღუპვისათვის, კიდევ უფრო ნეტი გააფთრებით შეუტიეს მტერს და ხელთ იგდეს გამაგრებული ზღუდე.

მამის დაღუპვის ამბავი შვილმა ნოდარმა მეოთხე დღეს გაიგო, რადგან ის ამ ხანებში სხვა ქვეგანაყოფში იყო. ეს ქვეგანაყოფი ამ დროს შეტევისშვის ემზადებოდა. შურისძიებით აღვსილი ახალგაზრდა ნოდარი იერიშზე გადასულ ნებრძოლთა პირველ რიგებში მიდიოდა და დაუნდობლად ყლეტდა არამზადა ჰიტლერელებს, მამის დაღუპვისათვის, უდანაშაულო საბჭოთა ადამიანთა სისხლისა და ცრემლისათვის, საშობლოსათვის.

**შ. გვიანჩიძე**

### წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

## ათეულ ფონოგით სპილენძი გეგმის გადამეტებით

წინასამაისო სოციშეჯიბრებაში ჩაბმულმა თბილისის სპილენძსატყეცი ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. კ. მაღლაკელიძე) მარტის პირველი დეკადის სპეცდაკვეთათა გეგმა 115 პროცენტით შეასრულა. ქარხანამ ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა ათეულ ტონობით პროდუქცია.

ახალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს გ. მჭედლიშვილისა და მ. დავითაშვილის მდნობელთა ბრიგადებმა, რომლებიც პირველ დეკადაში დღიურ დავალებებს 240-250 პროცენტით ანაღდებდნენ. კარგი მაჩვენებლები აქვს აგრეთვე მტკეცავების სტახანოვურ ბრიგადას (ბრიგადირი ამხ. ბ. ახობაძე). ბრიგადამ მარტის პირველი დეკადის გეგმა 175 პროცენტით შეასრულა.

წინასამაისო სოციშეჯიბრების ფართოდ გაშლით ქარხნის მთელი კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებლად გადაჭარბებით შეასრულოს პირველი კვარტალის საწარმოო დავალება.

**გ. ოგბიაძე**

## ფართოდ ჩაღდება წინასამაისო სოცშეჯიბრება

**სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.).** სოხუმის საწარმოებში ფართოდ ჩაღდება წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება. ორგზის ორდენოსანი № 92 ქარხნის კოლექტივის და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაკთა მოწოდების პასუხად სოხუმელი მშრომელნი ახალ საწარმოო ვალდებულებებს იღებენ. ისინი სიტყვას იძლევიან ერთიანად გააძლიერონ ფრონტისადმი დახმარება.

**სოხუმის** იმ ქარხნის კოლექტივმა, სადაც დირექტორი ამხ. დეგტიარევია, იკისრა ვალდებულება 110 პროცენტით გაანაღდოს მარტის საწარმოო დავალება და 115 პროცენტით — აპრილისა. სოხუმის ნავსადგურის მუშებმა, რომლებმაც მიმდინარე წლის გასული თვეების საწარმოო დავალებები დიდი გადამეტებით შეასრულეს, და პირველი ადგილი დაიკავეს შავი ზღვის ნავსადგურებს შორის, იკისრეს მარტისა და აპრილის საწარმოო დავალებები გაანაღდონ ვადაზე ადრე, არ დაუშვან გემების მოცდენა. სოხუმის საკონსერვო ქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა აიღეს ვალდებულება 110 პროცენტით გაანაღდონ პირველი კვარტალის დავალება.

აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის უკვე გაიშალა პრაქტიკული მუშაობა. დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ფრონტისადმი დასახმარებლად.

**გ. მერკვილაძე**

## სჯალინელთა მოწოდების საპასუხოდ

ქუთაისის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის წერილს 1 მაისის აღსანიშნავად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ.

აგიტატორებმა მუშა-მოსამსახურეებს განუმარტეს სტალინელთა წერილის დიდი მნიშვნელობა. სტახანოველ - ლენინელებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და მოაწყეს ინდივიდუალური შეჯიბრებები საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მემანქანე ვლ. გვარაკიძემ იკისრა ვალდებულება ყოველ მგზავრობაზე მიაღწიოს საწვავის ეკონომიას 20 პროცენტით, 1 მაისამდე მოამზადოს მემანქანის სამი თანაშემწე და ლენინური მუშაობით დაზოგოს 3.000 მანეთი.

გვარაკიძესთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება კრივონოსელი მემანქანე გ. სუთიძე, რომელმაც საწვავის მაქსიმალურ მომჭირნეობასთან ერთად იკისრა მუშახელის რაციონალური გამოყენებით დაზოგოს 1.500 მანეთი.

საორთქლმავლო დეპოს მთელმა კოლექტივმა, რომელმაც თებერვლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გზის მეორე ჯგუფის დეპოებს შორის სპატიო ადგილი დაიკავა, წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმასთან დაკავშირებით იკისრა ავადმყოფი ორთქლმავლების 3.4 პროცენტით შემცირება, საწვავის 10 პროცენტით დაზოგვა, ორთქლმავლების ტექნიკური სიჩქარის გაზრდა, უფუნო, უთავრიო მუშაობა და პირველი მაისისათვის 15 ზეინკლისა და 12 მემანქანის თანაშემწეთა მომზადება.

ქუთაისელმა მეორთქლმავლეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს შორაპანელი და ოჩამჩირელი მეორთქლმავლეები და ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას სოციალისტურ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის.

**თ. აგლაძე**

## ალაზნელები შეჯიბრებაში გამოიწვიეს

**ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.).** სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაკთა მოწოდების პასუხად საფუძველზე ქ. ცხაკაის რამის გადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივი ჩაება წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, და იკისრა ახალი საწარმოო ვალდებულებანი: მანქანა-დანაღგარების კაპიტალური რემონტი ნაცვლად 15 მაისისა დაამთავროს 1 მაისისათვის, რემონტზე მაქსიმალურად გამოიყენოს ადგილობრივი რეზერვები, მზა პროდუქციის ბამოშვების მარტისა და აპრილის გეგმა შეასრულოს 115 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 8 პროცენტით, საწვავ-საცხებლის მასალა დაზოგოს 5 პროცენტით, ახალგაზრდა მუშებისაგან წამყვანი პროფესიებისათვის მოამზადოს 50 კაცი.

ქარხნის მოწინავე მუშებმა მ. დამენიამ, რ. კვარაცხელიამ, ქ. იზმაილოვამ, ბ. ჩუმატოვამ და დ. ჩესმენსკიმ იკისრეს ყოველდღიური ნორმების 200 პროცენტით შესრულება.

ქ. ცხაკაიის რამის გადამმუშავებელმა ქარხანამ სოციშეჯიბრებაში გამოიწვია ალაზნის რამის გადამმუშავებელი ქარხანა.

**ს. კუჭავა**

## სჯალინელთა მოწოდების საპასუხოდ

**ბაკურიანი.** ბაკურიანის ტყეთმოსარგებლეობის ტყეთმოსარგებლეებმა ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ლენინურ-სტალინურ ბრძოლის ფრონტზე ბრძოლაში ბრძოლა-ბრძოლა ბრძოლა ბრძოლა